



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 86  
08/01/2018

ქალაქი ბათუმი

86-05-4-201801081735



### გელა მალაყმაძის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურედ მერის წარმომადგენლის პოზიციაზე ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ აჭარისადმართში, სკურდიდსა და ცხემლარაში შრომითი ხელშეკრულებით აყვანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს ორგანული კანონის 83-ე, 84-ე მუხლების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ მერის წარმომადგენლის პოზიციაზე - ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ აჭარისადმართში, სკურდიდსა და ცხემლარაში გამოცხადებული გამარტივებული კონკურსის 2017 წლის 27 დეკემბრის №2 საერთო ოქმისა და გელა მალაყმაძის 2018 წლის 04 იანვრის №114/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. გელა მალაყმაძე - აყვანილი იქნეს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურედ მერის წარმომადგენლის პოზიციაზე - ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ აჭარისადმართში, სკურდიდსა და ცხემლარაში, 2018 წლის 05 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით.

2. წინამდებარე ბრძანება წარმოადგენს გელა მალაყმაძესთან 2018 წლის 05 იანვარს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია 05 იანვრიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა